პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 200 (3177)

13 ოქტომბერი, 1966 წ. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

## „ინტერნაციონალემ“ ამოცანა შეასრულა

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 12 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ინტერნაციონალე“ (მილანი) 0:0.

„ტორპედო“: ქავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ვორონინი, ლენევი, მარუშკო, სტრელცოვი, შჩერბაკოვი, ბრედნევი, სერგეევი.

„ინტერნაციონალე“: სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ლანდინი, გუარნერი, პიკი, ჟაირი, დომენგინი, მაცოლა, სუარესი, კორსო.

მსაჯი დ. ზარიკიევიჩ (ესპანეთი).

მატჩისადმი ინტერესი განუზომლად დიდი იყო და ეს გასაგებიცაა. მილანში თანაბარი ბრძოლის შემდეგ წაგებული მატჩი (0:1) „ტორპედოს“ და მის გულშემატკივრებს არც თუ უიმედო პერსპექტივებს უსახავდა. როგორც მილანის შეხვედრამ ცხადყო, „ტორპედოს“ შეეძლო რეალური იმედი ჰქონოდა რევანშის თუ არა, ყოველ შემთხვევაში მესამე დამატებითი მატჩისა. და მართლაც, 100 ათასი მაყურებელი თავიდანვე უაღრესად საინტერესო ბრძოლის მოწმე გახდა, რომელიც მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა.

„ტორპედო“ თითქოს-და მართლაც ახლოს იდგა დასახული ამოცანის შესრულებასთან. მაგრამ მთელი საქმე იმაშია, რომ ეს იყო მხოლოდ თითქოს. „ტორპედო“ მთელი თამაშის განმავლობაში მოწინააღმდეგის ნახევარზე იმყოფებოდა. ტემპი მოსკოველებისა იყო, შეტევაც მათი, ბურთზე კონტროლს მეტწილად ტორპედოელები ახორციელებდნენ. შეიძლება ითქვას, მოსკოველებს უფრო გეგმიანად რომ ეწარმოებინათ იერიშები, მათი საერთო უპირატესობა გარკვეულ შედეგს გამოიღებდა. სამწუხაროდ, შეხვედრის მსვლელობაში თანდათან გამოირკვა, რომ ფრთებს „ინტერის“ გეგმა ისხამდა და არა „ტორპედოსი“.

„ინტერნაციონალეს“ ჩანაფიქრი ცხადი და გასაგები იყო: ჩაეკრო მოწინააღმდეგის შეტევები, გაეთამაშებინა ბურთი და თამაში კონტრშეტევებზე აეგო. უნდა ითქვას, რომ იტალიელები საოცარი სიზუსტით და შეუცდომლად ასრულებდნენ ამ გეგმას. ჩვენი სტუმრების დაცვა თითქმის გაუვალი იყო. საქმე მხოლოდ იმაში კი არ არის, რომ „ინტერი“ გაძლიერებული დაცვით მოქმედებდა. საინტერესო იყო თვით ამ დაცვის მოქმედება. „ინტერს“ თავისი საჯარიმო მოედნის და მისი მისადგომების ყოველი მეტრი, ყოველი მტკაველი აბსოლუტური სიზუსტით აქვს გამოთვლილი. დაცვა თამაშობს შეცდომების გარეშე, რასაც ბრწყინვალე სტოპერი და მწმენდელი პიკი ხელმძღვანელობს. ეს შეუდარებელი ფეხბურთელი მთელ გუნდს მოქმედებას კარნახობს. იგი ათამაშებს მეკარეს, განაპირა მცველებს, ნახევარმცველებს. მან საუცხოოდ იცის თავისი საქმე: შეტევის მოგერიებისას მთავარია ბურთმა მოედნის შუალედს მიაღწიოს. აქ, შუა ზინდორზე მოქმედებს მეორე, ექსტრაკლასის ფეხბურთელი — სუარესი. მისი გამგებლობით იწყება ძალზე რთული, კომბინაციური თამაში. სუარესმაც უშეცდომოდ იცის თავისი ამოცანა: ბურთი გარკვეული ხნით უნდა დაყოვნდეს მის ზონაში და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცეს ჟაირს. აქ კი იწყება „ინტერის“ თამაშის მესამე ფაზა ჟაირის შესრულებით. ამ უნიჭიერესმა ფეხბურთელმა აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი. გაიხსენეთ თუნდაც მისი ყუმბარისებური დარტყმა, რომელიც ძელს მოხვდა.

იტალიელთა თამაში ყურადღებას იპყრობს უკიდურესად დახვეწილი გადაცემებით და ბურთთან მსუბუქი, ძალდაუტანებელი ურთიერთობით.

„ინტერს“ ზოგჯერ უჭირდა ისე, რომ გოლი თითქოს გარდუვალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ არც ერთი მოთამაშე ამ კრიტიკულ მომენტში პანიკას არ მისცემია და ურთულეს სიტუაციებშიც კი გუნდი მშვიდად და აუღელვებლად თამაშობდა.

„ტორპედოს“ დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გუნდი შეცდა იმაში, რომ იერიშების დასაბოლოებლად აირჩია მაღალი გადაცემები ფლანგიდან ფლანგზე, ან საჯარიმო მოედნის ცენტრში. აქ კი მას არაფერი გამოსდიოდა: მეკარე სარტი, ფაკეტი, პიკი და მათი პარტნიორები უკლებლივ ყველა ბურთს ეუფლებოდნენ და უბრალოდ კი არ იგერიებდნენ მას, არამედ პირველივე პასიდან საპასუხო კომბინაციას იწყებდნენ.

ძალიან კარგად ითამაშა სტრელცოვმა. იგი შესანიშნავი იყო როგორც პირისპირ გასვლისას, ისე კომბინაციებშიც, მაგრამ მისი მხარდამჭერი კოლექტივში არავინ იყო. შორი მანძილიდან დარტყმები და ინდივიდუალური გასვლები არ სრულდებოდა იმ დონეზე, რომელიც „ინტერის“ კარის ასაღებადაა საჭირო.

მატჩის მსვლელობაში ბევრი საინტერესო, სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ 90 წუთმა ისე განვლო, რომ კარის აღება ვერ მოხერხდა. „ინტერს“ ეს ხელს აძლევდა, ტორპედოელებს კი — არა. ამ ფრემ „ინტერს“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვედფინალში გასვლის საშუალება მისცა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მილანის „ინტერნაციონალემ“, ამ რთულმა და საინტერესო გუნდმა, სავსებით გაამართლა მოლოდინი. კარგად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა შეხვედრა ესპანეთის მსაჯთა ბრიგადამ.

მ. კაკაბაძე,
ზ. ქორქია,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.





მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების თაობაზე, აღორძინდა ცხენოსნობა. ჩამოყალიბდა გუნდები ცხაკაიაში, ჩოხატაურში, ... და სხვა რაიონებში. გაიმართა რაიონული ასპარეზობები, ხოლო ზოგიერთებმა რესპუბლიკურ ტურნირებშიც მიიღეს მონაწილეობა. ამას წინათ ოჩამჩირეში მოეწყო ცხენოსნური დღესასწაული, რომლის შესახებაც ეს ს უ რ ა თ ე ბ ი მოგვითხრობენ. ზევით თქვენ ხედავთ თხინისა და კვიტოულის გუნდების მატჩის მომენტს ისინდში. ქვევით — ცხენბურთს თამაშობენ პოკვეშისა და ბესლახუბას კოლექტივები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფეხბურთი

## 90 წუთი წვიმის ქვეშ

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 11 ოქტომბერი.

„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 1:1 (1:1).

ბათუმი: კვახაძე, გიორგიაძე, ჯოხაძე, დიმანოვი, კიზირია, ილურიძე, ონიანი, შაფათავა, გიორგაძე, ვერულიძე, ქიქავა.

კიროვაბადი: ისმაილოვი, მამედოვი, ლუბარსკი, ფალკოვსკი, ბატრაევი, მაგერამოვი, კასუმოვი, მურიტოვი, ეინულაევი, აბდულაევი, ფილატოვი.

მსაჯი ნ. პანკინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:2.

მატჩის პირველი წუთები სტუმრების უპირატესობით აღინიშნა. მათ 2-ჯერ მოაწოდეს კუთხური ბათუმელთა კარზე, მაგრამ თანდათან ინიციატივა მასპინძლების მხარეს გადავიდა და უკვე მე-9 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. ილურიძემ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი ბადეში გაეხვია. 1:0 — დაწინაურდნენ ბათუმელები.

6 წუთიც არ იყო გასული, რომ განმეორდა ზუსტად იგივე სიტუაცია: ეინულაევმა მასპინძლების კარში შორი მანძილიდან დაარტყა და ტაბლოზე აღინიშნა 2 ერთიანი — 1:1.

ამ დღეს ვერც ერთმა გუნდმა ვერ აჩვენა ტექნიკური ფეხბურთი, რაშიც ბრალი მიუძღვის... კოკისპირულ წვიმას, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე არ შეწყვეტილა. შესვენების შემდეგ უპირატესობა ბათუმელების მხარეს იყო. ერთ მომენტში მათ ზედიზედ 8 კუთხური ჩამოაწოდეს, მაგრამ გოლი არ გავიდა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ვ. მოსეშვილი.

„ბ“ კლასი IV ზონა

## ტყიბულის „მეშახტე“ — ფინალში

გუშინ, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები.

ტყიბულში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეშახტე“ და ფოთის „კოლხიდა“. მასპინძლებს, რომლებიც სატურნირო ცხრილში III ადგილზე იმყოფებოდნენ, ფინალში გასასვლელად ამ მატჩის ფრედ დამთავრებაც ყოფნიდათ.

შეხვედრა, რომელიც დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, დამთავრდა ფრედ — 3:3. „მეშახტემ“ უკვე დააგროვა 46 ქულა და ბოლო მატჩის მიუხედავად (16 ოქტომბერს, თავის მოედანზე, ზუგდიდის „ენგურთან“), გაინაღდა ფინალში მონაწილეობა.

რუსთავის „მეტალურგმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა სოხუმის „დინამო“.

5 მატჩი

11 ოქტომბერს გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების კიდევ რამდენიმე შეხვედრა: „შირაკი“ (ლენინაკანი)—„დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დაუგავა“ (რიგა) 4:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (ტალინი) 2:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „სპარტაკი“ (გომელი) 2:1.

„ა“ კლასი II ჯგუფი

## შედეგი, რომელიც არაფერს გამოხატავს

ნალჩიკი (ტელეფონით). აქ, ადგილობრივ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი. თამაშობდნენ ნალჩიკის „სპარტაკი“ და თბილისის „ლოკომოტივი“, გუნდები, რომლებსაც სატურნირო ცხრილში VII („ლოკომოტივს“) და X ადგილები უკავიათ. ბუნებრივია, ორივე მხარე ცდილობდა მდგომარეობის ასე თუ ისე გამოსწორებას, რის გამოც ფეხბურთელებს არც ენერგია დაუზოგავთ და არც მონდომება.

სამწუხაროდ, „ა“ კლასის II ჯგუფის თამაშებში მსაჯობის საკითხი მუდამ სასურველ დონეზე ვერ დგას. სწორედ ამიტომ არის, რომ გუნდი, როგორც წესი, საკუთარ მოედანზე იგებს.

თბილისის ფეხბურთელებმა თამაში აგრესიულ სტილში დაიწყეს და თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. „ლოკომოტივის“ ტერიტორიულმა უპირატესობამ სულ მალე რეალური გამოხატვა ჰპოვა ანგარიშში. მე-16 წუთზე კოშკელოვმა ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი კოლექტივი. მიღებულ გოლს მასპინძლებმა მძაფრი კონტრშეტევებით უპასუხეს და 25-ე წუთზე წონასწორობა აღადგინეს — 1:1.

შესვენების შემდეგ ნალჩიკელი ფეხბურთელები დაწინაურდნენ — 2:1. ამ მომენტიდან დაწყებული ინიციატივა მთლიანად რკინიგზელთა მხარეს გადადის, მაგრამ თბილისელ ფეხბურთელთა გოლის გატანის სურვილს წინ აღუდგა მოსკოველი მსაჯი ეფრემოვი. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია ისიც, რომ მან არ დანიშნა აშკარაზე აშკარა პენალტი ნალჩიკელთა კარში. „სპარტაკმა“ გაიმარჯვა — 2:1.

მატჩის დამთავრების შემდეგ თბილისელთა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ღოღობერიძემ განაცხადა: „ასეთი უმსგავსო და არაკვალიფიციური მსაჯობა არასდროს მინახავს“. საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანმა გულისტკივილით აღნიშნა: „რა აზრი აქვს ასეთ შეჯიბრებას, სადაც ნამდვილად უძლიერესი არ ვლინდება?“. მართლაც რა აზრი აქვს?



საქართველოში ერთადერთი მესტენდურე ქალია თბილისელი სპორტის ოსტატი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ე. მელიქიშვილი, რომელიც ხშირად ვაჟთა ასპარეზობებშიც მონაწილეობს და კარგ მაჩვენებლებსაც აღწევს. ამ დღეებში თბილისის „მონკავშირის“ სტენდზე გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში I და II დღეს მან ზედიზედ აჩვენა პირველი თანრიგის შედეგები.

ს უ რ ა თ ზ ე: ე. მელიქიშვილი ასპარეზობისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

თბილისელ მოსწავლეთა შორის ნიჭიერ მოცურავედ ითვლება სვეტლანა ღიბრაძე, რომელიც დის, სპორტის ოსტატ მადლენა ღიბრაძის კვალს გაჰყვა და სწრაფად დაეუფლა სპორტის ამ სახეობის ანბანს. ახლა გოგონა ემზადება, რათა მოსწავლეთა ნაკრებში დამკვიდრდეს და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამოვიდეს.

სურათზე: ს. ღიბრაძე ვარჯიშის დროს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსის დაწყებამდე და შემდეგ

„განთიადის" სისტემის თბილისის ფიზკულტურული კოლექტივების საქალაქო კროსი კუს ტბის მიდამოებში ჩატარდა. მის დაწყებამდე რამდენიმე მწვრთნელს მივმართეთ კითხვით: როგორ მოემზადნენ სპორტსმენები შეჯიბრებისთვის?

**ლ. არუთინოვი** — ჩვენთან, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში კროსი ნახევარი თვის უკან ჩავატარეთ. სტარტზე 400 ათლეტი გამოვიდა. ზოგმა კარგი შედეგიც აჩვენა. ვვარაუდობთ, რომ ნ. სტრუჩენკოვი 2 კილომეტრზე რბენაში საპრიზო ადგილს დაიკავებს.

**ლ. უზრეხელიძე** — საპრიზო ადგილს არ გავცდებით, ვინაიდან მაუდ-კამვოლის კომბინატში ახლა კარგი გუნდი გვყავს.

**ნ. ნოზაძე** — სამშენებლო მასალების საწარმოო კომბინატის კროსმენები ამგვარ შეჯიბრებაში პირველად გამოვდივართ და ცხადია, გამარჯვებას არ ვუმიზნებთ. მაგრამ ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ.

მართლაც, შეჯიბრებამ ზოგი ვარაუდი გაამართლა. სტრუჩენკოვი 2 კილომეტრზე რბენაში მეორე იყო — 6.53,0. მას მხოლოდ ი. დელაროსამ (სპორტკლუბი „განთიადი") აჯობა — 6.18,7. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კროსმენებმაც კარგი შედეგები აჩვენეს. აქაური ა. კობჩიკი პირველი იყო 1 კილომეტრზე რბენაში — 2.56,0, ხოლო ვ. თეთრაძემ მოიგო 500 მეტრზე ქალთა რბენა — 1.23,0. 1 კილომეტრზე ქალთა ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა ლ. დაუთაშვილი (აბრეშუმის ფაბრიკა) — 4.23,0.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში 165 ათლეტი მონაწილეობდა. ეს თითქოს მცირე რიცხვი არაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თბილისის საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივებისა და მათი სპორტსმენების რაოდენობას, შეიძლებოდა ეს რიცხვი 2-ჯერ მეტი მაინც ყოფილიყო.

იყო ისეთი შემთხვევები, როცა საასპარეზოდ სუსტად მომზადებული კროსმენებიც გამოვიდნენ. მაგალითად, 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის გუნდის წევრმა ს. ბასიაშვილმა 500 მეტრის გარბენას 2.40,0 მოანდომა. 1 კილომეტრზე ქალთა ასპარეზობაში ნ. არუთინოვამ (ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა) და ა. მერაბიშვილმა (ელმავალმშენებელი ქარხანა) შესაბამისად, 5.35,0 და 5.44,0 (!) აჩვენეს, 2 კილომეტრზე რბენაში კი ა. გრიგორიანმა (№ 6 სამკერვალო ფაბრიკა) — 8.23,0 და ა. შ.

**ვ. ბუკინი,**
I კატეგორიის მსაჯი.



კროსის მონაწილეები.
ფოტო ბ. ქვათაძისა.

# თორმეტწლიანთა „გაზაფხული"

ბავშვებს ჭადრაკში ყველაფერი მიმზიდველი უყვართ: დაცვას — შეტევას ამჯობინებენ, ხიბლავთ ტაქტიკური გართულება, კომბინაციები, სადაც შეიძლება ყველაფერი არ იყოს უხაკლო, უყვართ ელვისებური პარტიები და ტალზე ლაპარაკი. ჭადრაკი მათთვის ზღაპრული ჯადოსნური სამეფოა თეთრსა და შავ უჯრედებზე რომ არის გადაშლილი და ნაკლებად როდი იზიდავს, ვიდრე, მაგალითად, სატელევიზიო ფილმი ტრადიციული აკრძალვით: „თექვსმეტი წლის ასაკის ბავშვებისთვის"... მაგრამ ცისფერ ეკრანსაც დაივიწყებენ, თუკი თხოვნა — „ვითამაშოთ ჭადრაკი, მხოლოდ ერთი ხელი, ძალიან გთხოვთ" — მიზანს მოხვდება და მამა თამაშზე თანხმობის ნიშნად ლალად დააქნევს თავს.

წაგება არავის უყვარს. განსაკუთრებით ბავშვებს, კაპიტულაცია ყოველთვის საწყენია, დამარცხებულს მძიმე განცდებს ანიჭებს და საქმე ხშირად ცრემლებამდე მიდის.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ აჭარის პირველობაზე ბათუმელმა მოსწავლემ ნონა გიორგაძემ ერთ-ერთ უკანასკნელ ტურში პარტია დათმო და პირველობია მოპოვების იმედი გაუცრუვდა. გოგონამ ცრემლებისაგან თავი ვერ შეიკავა. მაშინ ადგილობრივი რადიოკომიტეტის ერთმა თანამშრომელმა უთხრა:

— მაშ, ასე, ნონა, ადრე შენს გამარჯვებებზე ვლაპარაკობდით, ახლა კი, რომ ატირდი, იმასაც გამოვაცხადებთ!

ამბობენ, რომ ამის შემდეგ ნორჩი სპორტსმენი ტირილს გადაეჩვია, ან წარმოიდგინეთ რა ზღვა ცრემლი უნდა დაეღვარათ ბათუმის პიონერთა პარკის მოჭადრაკეებს, რომლებმაც ანგარიშით 5:21 ორწრიანი მატჩი წააგეს თბილისელ კოლეგებთან — ლენინის სახელობის რაიონის პიონერთა სახლის გუნდ „ნაკადულთან". ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1965 წლის ნოემბერში, ბათუმელებმა კვლავ იმავე გუნდთან იწვნიეს დამარცხება, მაგრამ წაგების გამო წუხილი ადრეა, ვინაიდან, ჯერ ერთი, მათი სპორტული დამსახურება მეტად მცირეა (სულ რაღაც ერთნახევარი-ორი წელი), ამას გარდა ამ ასაკში პარტიის დათმობა სულაც არ არის სამარცხვინო. მათ საჭადრაკო ცხოვრებაში დადგება დრო, როცა სირცხვილსა და ცრემლებს შეცვლის ჯანსაღი სიბრაზე (რასაკვირველია, არა ჭადრაკის მიმართ), რასაც სპორტულ სიბრაზეს უწოდებენ.

...1963 წლის დასასრულს ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკის დირექტორმა რ. ბოლქვაძემ ოსტატობის კანდიდატად გ. ჭანტურიასთან ერთად საჭადრაკო სექციის შექმნა გადაწყვიტა, თავდაპირველად საზოგადოებრივ საწყისებზე. სექციაში ჩაწერის სურვილი ბევრს როდი გამოუთქვამს, მაგრამ მერე იმატა ჭადრაკით გატაცებული ბავშვების რაოდენობამ. ახლა მათი რიცხვი 60-ს აღწევს. მალე პირველი წარმატებაც მოვიდა: მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულეს ძმებმა თ. და გ. ბერიძეებმა, ლ. სიხარულიძემ, შ. ქლენტმა, გ. ჯიჯავაძემ, გ. სიხარულიძემ, ხოლო ნ. გიორგაძემ, დიდი ხანია, რაც პირველი თანრიგის ზღუდე გადალახა. სექციაში კიდევ 10 მესამეთანრიგოსანია. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში, I-II ადგილი იმ საშუალო სკოლების (მე-17 და მე-4) ნაკრებებმა დაიკავეს, რომლის წევრები ბათუმის პიონერთა პარკის საჭადრაკო სექციის აღსაზრდელები არიან. სპორტსმენები აქ ასაკის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად არიან დაყოფილი, მეცადინეობენ კვირაში სამჯერ 2-2 საათს.

როცა გ. ჭანტურიას ვკითხეთ, კმაყოფილია თუ არა თავისი აღსაზრდელებით, გვიპასუხა:

— ბავშვებს არაფერი აშინებთ, ოღონდ ეგ არის, თამაშის გამოცდილება აკლიათ.

სასიამოვნო იყო ის, რომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში, რომლის მწვრთნელად გ ჭანტურია დანიშნეს, რამდენიმე ბათუმელიც შევიდა. ნაკრები წყრთნას ქობულეთში გადიოდა.

დილით გამაჯანსაღებელი ვარჯიში, საუზმე, შემდეგ ზღვა და... რასაკვირველია, ყოველდღე ჭადრაკი. ოთახში, სადაც გოგონები და ჭაბუკები მეცადინეობენ, თითქმის ყოველთვის, რაღაც ფუსფუსი და მხიარულებაა: ბავშვები შეძახილებისა და ჩურჩულისაგან თავს ვერ იკავებენ, ვიღაცა პარტიას არჩევს, თან ხმამაღლა უკეთებს კომენტარს, ასეა, როცა მოსწავლეები, ასე ვთქვათ, თვითმომზადებას გადიან, როცა კი მეცადინეობას მათი აღმზრდელი ატარებს, ბავშვები უფრო სერიოზულნი ხდებიან და გულდასმით უსმენენ მწვრთნელს, დაკვირვებით ადევნებენ თვალყურს ყველაფერს, რასაც მათ უჩვენებენ.

ნაკრების წევრებმა ორჯერ მოსინჯეს ძალები ელვისებურ ტურნირებში. პირველში მათი მწვრთნელი მონაწილეობდა და, რასაკვირველია, უფროსმა 100-პროცენტიანი შედეგით გაიმარჯვა.

გამოთხოვებისას გ. ჭანტურიამ გვითხრა, რომ პიონერთა პარკის მოჭადრაკეებმა გადაწყვიტეს თავიანთ გუნდს „გაზაფხული" დაარქვან. თორმეტწლიანებს უკეთეს სახელწოდებას მართლაც, რომ ვერ გამოუნახავ.

ბათუმელებს თავიანთი საჭადრაკო ტრადიციები გააჩნიათ. საკმარისია ჩვენი უკვე გამოცდილი მოჭადრაკეების ა. ჩაიკოვსკაიასა და ს. ივანოვას გახსენება. „გაზაფხული" ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს ფართო საჭადრაკო გზაზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს გზა სასახელო იქნება.

**გ. ბიბაური.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

# სპორტულ მოედნებზე — მეცნიერები

თბილისის სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების III სპარტაკიადა. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერები ამ ასპარეზობას უძღვნიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

მეცნიერებს თავიანთი დრო თვითეულ წუთებამდე აქვთ განაწილებული და სასიამოვნოა, რომ ისინი არც სპორტს ივიწყებენ, პირველმა სტარტებმა ცხადყო, რომ ამჯერად მეცნიერი-სპორტსმენები უფრო აგრესიულად არიან განწყობილი, უფრო მაღალ შედეგებს აჩვენებენ მძლეოსნობაში, სროლაში...

### ერთი დუეტი და სამი რეკორდი

ასპირანტ გ. კვესიტაძეს და მეცნიერ-მუშაკ რ. ქვაჩაკიძეს მძლეოსნობის მოყვარულები ხშირად ხედავდნენ ერთად. ეს ორი სპორტსმენი ერთმანეთს მიუთითებდნენ შეცდომებზე, კეთილ რჩევას აძლევდნენ ურთიერთს. ეს გასაგებიცაა, ორივე ხომ ერთი ინსტიტუტის — ბოტანიკის ინსტიტუტის წარმომადგენელია. ისინი შეჯიბრებაზე მართლაც რომ კარგად გამოვიდნენ. დასაწყისში კვესიტაძემ გააუმჯობესა შარშანდელი მიღწევა (12,0), 100 მეტრზე რბენაში — 11,1, შემდეგ კი ქვაჩაკიძემ მოხსნა 0,1 წამი და რეკორდის ერთპიროვნული მფლობელი გახდა. იგი ამით როდი დაკმაყოფილდა. მეორე დღეს გააუმჯობესა თავისი შარშანდელი მიღწევა სიგრძეზე ხტომაში — 716 სმ. ამასობაში არც კვესიტაძე იყო გულხელდაკრეფილი. ხელყუმბარის ტყორცნაში სარეკორდო მაჩვენებელს უტევდა. პირველ ორ ცდაზე ხელყუმბარა სარეკორდო მაჩვენებელს იქით ტყორცნა, მაგრამ შეცდომათა გამო, ტყორცნები არ ჩაეთვალა. ამხანაგს მეგობრულ რჩევას აძლევს ქვაჩაკიძე. და აი, ყველაფერი რიგზეა: მესამე ცდაზე კვესიტაძემ საწადელი აისრულა — ხელყუმბარა 56 მეტრზე გადააგდო, ხოლო ფინალში რეკორდი დაამყარა — 60 მ 50 სმ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მუშამ ვ. რომანოვამ გაიმარჯვა 100 მეტრზე რბენაში — 15,0. ერთნაირი შედეგი აჩვენეს ქალთა ხელყუმბარის ტყორცნაში ბოტანიკის ინსტიტუტის სპორტსმენმა ვ. გოჩიაშვილმა და სტამბის წარმომადგენელმა ე. შუშანაშვილმა.

მძლეოსანთა შორის გუნდურ ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ ბოტანიკის ინსტიტუტის სპორტსმენები.

### ვაჟებს ქალმა აჯობა

როცა მსაჯებმა საასპარეზო სარბიელზე მსროლელები გამოიძახეს, შარშანდელი ჩემპიონი — არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის გუნდი სრულიად ახალი სპორტსმენებით დაკომპლექტებული აღმოჩნდა. ესენი არიან: კ. გველესიანი, გ. ჯავრიშვილი, ი. კოჩინაშვილი და ი. ორლიკი. და აი, ახალბედებმაც იმარჯვეს — გუნდმა 400 შესაძლებლიდან 370 ქულა დააგროვა და ჩემპიონობა შეინარჩუნა. განსაკუთრებით ქების ღირსია სპორტსმენი ქალი ი. ორლიკი, რომელიც თანაგუნდელ ვაჟებზე ძლიერი აღმოჩნდა. მან 50 მეტრზე წოლელა სროლაში 97 ქულა დააგროვა 100-დან.

### ტურისტულ ბილიკებზე

შესანიშნავად გამოვიდა ტურისტთა შეჯიბრებაში მძლეოსანი რ. ქვაჩაკიძე. მან ტურისტული აღჭურვილობით ყველაზე სწრაფად დაფარა მოცემული დისტანცია. მისივე ინსტიტუტის გუნდიც პირველი იყო ასპარეზობაში. ქვაჩაკიძესთან ერთად გუნდში გამოდიოდნენ: ასპირანტი ა. გურგენიშვილი, უმცროსი მეცნიერ-მუშაკები ლ. ხეცურიანი, ზ. ლომთათიძე, ა. ჩხიკვაძე, ნ. თულაშვილი და უფროსი ლაბორანტი ბ. ზურაბიანი. ამ შემადგენლობამ 2-კილომეტრიან ტურისტულ ესტაფეტაში აჩვენა 5.47,2.

* * *

მეცნიერთა სპარტაკიადა გრძელდება. ბრძოლაში უკვე ჩაებნენ მოჭადრაკეები, მოცურავეები და ფრენბურთელები.

**ვ. ბუკია.**

[illegible]

### ◆ აბაშა

ახლახან აქ გამართული მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ მასში 700-მდე ნორჩმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. აბაშაში კარგა ხანია ასეთი მასობრივი ღონისძიება არ ჩატარებულა.

**ი. თოფურია.**

# მისაბაძი ინიციატივა

დიდი ხანი არ არის, რაც ომარ ადუაშვილი სათავეში ჩაუდგა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" გორის რაიონულ საბჭოს და საქმესაც გამრჯე ხელი დაეტყო. იგი ინიციატივიანი, შრომისმოყვარე ახალგაზრდაა. მან თავის პირველ საბრძოლო ამოცანად დაისახა ეროვნული სპორტის სახეობის — ქართული ჭიდაობის ტრადიციების აღდგენა.

„კოლმეურნის" რაისაბჭოს აქტივმა ო. ადუაშვილის ინიციატივით გადაწყვიტა უახლოეს ხანში შემოიაროს რაიონის ფიზკულტურული კოლექტივები და ფართო პროპაგანდა გაუწიოს ქართულ ჭიდაობას, დახმარების ხელი გაუწოდოს არსებულ სექციებს, ხოლო სადაც არ არის სექციები — შექმნას.

„კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე თავის დანაპირებს საქმით ამართლებს. სპორტკავშირის რაისაბჭოსთან (თავმჯდომარე გ. მთვარელიძე) ერთად მან უკვე განახორციელა პირველი ღონისძიებანი. ახლახან ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 10 გუნდი. გამოვლინდნენ ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებიც მომავალში თუ გულმოდგინედ იმეცადინებენ, უთუოდ კარგ შედეგებს მიაღწევენ.

ამ ასპარეზობაში გუნდური I ადგილი დაიკავეს კარალეთის საბჭოთა მეურნეობის ათლეტებმა. II ადგილზე გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ხოლო III — ზემოდულეთის სპორტსმენები.

წონით კატეგორიებში რაიონის ჩემპიონები გახდნენ ს. ჯაბახიძე (კარალეთი), ნ. ფალიაშვილი (ტექნიკუმი), ო. ბესიაშვილი, ზ. ტიელიძე (ზერტი), ა. ცერცვაძე (ზემოდულეთი), რ. შიოშვილი (ტექნიკუმი), ო. ბერიანიძე და ა. პეტუაშვილი (კარალეთი).

რაიონული პირველობის ჩატარების შემდეგ, „კოლმეურნის" რაისაბჭომ გორის სახელმწიფო დარბაზში ჩაატარა ქართული ჭიდაობის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონისა და ქალაქის საუკეთესო სპორტსმენები.

**ი. თევდორაშვილი.**

# 52 ათასი პრეტენდენტი და 4 ლირსეული

დნეპროპეტროვსკში დასასრულს უახლოვდება მილიონთა თასის ფინალური მატჩები. ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა საკავშირო ასპარეზობაში, რომლის პირველ ეტაპში 52 ათასამდე გუნდი მონაწილეობდა, დარჩა მხოლოდ 4 კოლექტივი. ისინია: ლვოვის სამხედრო პოლიტიკური სასწავლებლის გუნდი, პოლტავის „სპარტაკი", ტაშკენტის „ზვეზდა" და ლენინგრადის „კომსომოლეცი".

უკვე გაიმართა 2 ტური, რომელიც ასეთი შედეგებით აღინიშნა: სამხედრო პოლიტიკური სასწავლებელი (ლვოვი) — „სპარტაკი" (პოლტავა) 5:0, „ზვეზდა" (ტაშკენტი) — „კომსომოლეცი" (ლენინგრადი) 2:0, სამხედრო პოლიტიკური სასწავლებელი — „კომსომოლეცი" 3:0, „ზვეზდა" — „სპარტაკი" 5:2. გათამაშებას ლიდერობენ ლვოველი და ტაშკენტელი ფეხბურთელები. სასწავლებლის გუნდს მოგროვილი აქვს 4 ქულა (ბურთების შეფარდება 8:0), „ზვეზდასაც" ამდენივე, მაგრამ უარესი შეფარდებით. ...ბურთების სხვაობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თუ ლვოვისა და ტაშკენტის გუნდების გადამწყვეტი მატჩი ფრედ დამთავრდა, დაინიშნება დამატებითი შეხვედრა.

◆ ობერჰაუზენი, 12 ოქტომბერი. მოჭადრაკე ქალთა III მსოფლიო ოლიმპიადაზე გაიმართა IX ტური. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა რუმინეთ — აშშ-ს გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს ამერიკელმა მოჭადრაკეებმა — 2:0. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სპორტსმენთა მატჩში ზატულოვსკაიამ 37-ე სვლაზე მოუგო ნედელკოვიჩს, ხოლო გაფრინდაშვილმა — ლაზარევიჩს IX ტურის შემდეგ დაწინაურდა სსრ კავშირის გუნდი — 15,5 ქულა. მეორე ადგილზეა რუმინეთი (14), მესამეზე — იუგოსლავია (11).

◆ პოტსდამი, 12 ოქტომბერი. ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის უძლიერეს თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრება. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 14797 ქულა. პირადში I იყო მოსკოველი ს. შაპარნიხი — 5186. II ადგილი დაიკავა გამარჯვებულის თანაგუნდელმა ა. მოკეევმა — 5107, III — ვ. მინეევმა (სსრ კავშირი) — 5076.

# კულტურიზმი თუ ათლეტიზმი?

სიცრუე სხვადასხვაგვარია. ხშირად ადამიანები სიცრუეს იმიტომ კი არ ამბობენ, ვინმეს ზიანი რომ მიაყენონ, ან დააზიანონ იგი: უბრალოდ, ხვდებიან. ეს შეიძლება ითქვას მათზე, ვისაც კულტურიზმი სწამს, როგორც ფიზიკური განვითარების უახლესი საშუალება. თუ მათ დავუჯერებთ, სპორტი უნდა გადადგეს. როცა კულტურიზმზე მასალებს ეცნობი, გებადება კითხვა: რატომ დარბიან, ცურავენ, ეტანებიან ტანვარჯიშს, ამყარებენ რეკორდებს სიმძიმეთა აწევაში, დარბიან თხილამურებით, თუკი ერთი წყვილი ორბირთულისა და სარკის საშუალებით ოთახიდან გამოუსვლელად შეიძლება შეიძინო „ძალა, სილამაზე და ჯანმრთელობა".

ყველაფერი ეს ასე როდია. იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც ფიზიკური სრულყოფისკენ მიისწრაფვიან, უნდა იცოდნენ ტანის ძალისა და ნამდვილი სილამაზის მისაღწევად ადვილი გზა როდი არსებობს, ოთხ კედელში ვარჯიში ჯანმრთელს ვერ გაგხდის.

კულტურიზმის ქება — ლამაზი და საშიში ტყუილია. საშიშია იმიტომ, რომ შეიძლება მას ადვილად დაუჯერო. თანამედროვე ახალგაზრდას ძალზე ცოტა თავისუფალი დრო აქვს და ბუნებრივია, იგი ცდილობს სწრაფად და ენერგიის დაუხარჯავად გაიკაუოს სხეული. და აი, მას სუსტსა და წელში მოხრილს ხელში სჩრიან კულტურიზმს. თითქოს მისი დახმარებით „რამდენიმე თვეში" შეიძლება ფიზიკურად სრულყოფილი გახდე.

კულტურიზმით გატაცების წინააღმდეგ იმიტომ გამოვდივართ, რომ ამან შეიძლება სინანული მოგვიტანოს. კუნთების კულტურისტულ სტანდარტამდე „დატუმბვა", ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ბრძოლას ეწინააღმდეგება. ფიზიკური კულტურის არც ერთი სპეციალისტი არ გირჩევთ დამძიმებული საგნებით ვარჯიშს, როგორც სასუნთქი ორგანოებისა და გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის გაუმჯობესების საშუალებას. ორგანიზმში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და დამძიმებული საგნებით ვარჯიში ზემოქმედებას ახდენს კუნთებსა და ადამიანის სხვადასხვა ორგანოზე. როგორც მეცნიერულად და პრაქტიკულად დადგინდა, ეს ზემოქმედება ყოველთვის როდია დადებითი.

კულტურისტული იდეის პროპაგანდისტებს უყვართ პოლონურ მაგალითზე დაყრდნობა. მაგალითს მეც მოვიყვან: პოლონელი ექიმი მ. ფირსოვიჩი სპეციალურ დაკვირვებებს ატარებდა „კულტურიზმის მოყვარულებზე" და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ექიმის აზრით, კულტურიზმი ჯერ კიდევ სრულყოფილი არაა. მას მივყევართ პათოლოგიის ელემენტებამდე. ცნობილია, კუნთებს აქვთ ტონუსი. დიდი კუნთური გიპერტროფია, რომელსაც კულტურისტები აღწევენ, შემდგომში ძალზე ართულებს სისხლის მოძრაობას. და აი, ბევრ კულტურისტში მე აღმოვაჩინე გიპერტონული დაავადება. კულტურისტები გარეგნულად ლამაზი, მაგრამ ავადმყოფი ადამიანები არიან. მათი სპორტში მეცადინეობა არ შეიძლება. კულტურიზმის ჩვენი მქადაგებელნი ამაყობენ პეტრუშეკით, რომელიც ძალოსნობაში კულტურიზმიდან მოვიდა და მსოფლიო რეკორდსმენი გახდა იუნიორებში. მაგრამ მათ არ იციან, თუ რა გაწამაწიაში იყო იგი. პეტრუშეკს არანორმალური სისხლის წნევა ჰქონდა და მას დიდხანს ჟურნალ-ო ბ-დ ნ ე ნ

სპეციალურად შერჩეული დინამიკური ვარჯიშებით".

კულტურიზმი მომეცადინეს ჯანმრთელობას კი არ უკაჟებს, პირიქით. ამიტომ უნდა გვახსოვდეს: დიდი კუნთები — დიდი დატვირთვაა. თუ შენ დიდი კუნთების მფლობელი ხარ, მაშასადამე, მისი ტყვეც. კუნთები მოგთხოვენ არაადამიანურ შრომას, საკვებს და თუ მათთვის შრომა უკმარია, ქონით ივსებიან და ადამიანის უდროოდ დაჩაჩანაკებას უწყობენ ხელს. კულტურიზმს ხომ შეიძლება ხელი მოვკიდოთ ძალის მომატების გამო? ამაზე აი, რას ამბობს ბულგარელი დოცენტი ა. გეშევი: „კულტურიზმი ხელს უწყობს ადამიანის ძალის მომატებას, მაგრამ ეს ძალა სხვა ფიზიკურ მონაცემებთან — გამძლეობასთან, მოქნილობასთან, სისწრაფესთან ძალზე ჩამოცილებული და არასრულფასოვანია. ეს იმით აიხსნება, რომ ფიზიკური გაკაჟების საშუალებანი კულტურიზმში შეზღუდული და ცალმხრივია".

ფიზიკური აღზრდის ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი უ. გრეჰემი წერს: „კულტურისტების კონკურსები ყოველთვის ცხარე კრიტიკის საგანი იყო, რადგან იგი დიდი კუნთების ფორმირებას ემსახურება. ტანის კულტის მიმდევრები ზიანს აყენებენ ძალისმიერ მამოძრავებელ ჩვევებს".

ასეთია სიმართლე კულტურიზმზე, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაინერგა და მაშინვე უარყოფილ იქნა, ახლა კვლავ უნდათ გამოიყვანონ სცენაზე. ეჭვი არ მეპარება, იგი კვლავ დავიწყებას მიეცემა, მაგრამ „ტანის აშენებისადმი" მისწრაფება ძვირად დაუჯდება ჩვენს ახალგაზრდობას.

მკითხველი მართალი იქნება, როცა ასეთ კითხვას მოგვცემს:

— თქვენ რას გვთავაზობთ?

ჯანმრთელობისა და ძალის მომატების გზა შრომატევადია. ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა პირველ რიგში, მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის გაკაჟებისკენ. მისკენ მიმავალი გზა კი ყოველმხრივი ფიზიკური განვითარებაა, რომელსაც ახალგაზრდები იღებენ სპორტულ სექციებში მეცადინეობით.

მე გთავაზობთ ათლეტიზმს. დიახ, ათლეტიზმს! არა ისეთს, რომელიც კულტურიზმის ნიღბით გვევლინება.

სპორტის ისტორიაში ჩახედულმა ადამიანებმა იციან, რომ იყო დრო, როცა ათლეტიზმი აერთიანებდა ძალოსნობის, ჭიდაობის, კრივის, ტანვარჯიშის, რბენის, ცურვის მოყვარულებს. გასული საუკუნის ბოლოს პეტერბურგში საველოსიპედო-ათლეტური საზოგადოებაც კი ჩამოყალიბდა. როგორც წესი, ყოველი მოჭიდავე მშვენივრად ჟონგლიორობდა ორფუთიანი სიმძიმეებით, ზოგიერთი კი, მაგალითად, გვიდო მეიერი — რუსეთის პირველი ჩემპიონი, ჩინებული მოკრივეც კი იყო.

იმ ხანებში ევროპა ეძებდა კუნთების განვითარების უძნელეს გზას. გამოჩნდა ე. სანდოვის ყბადაღებული სისტემა. და თუ ამ სისტემითივარჯიშებდი, მისი ავტორი გპირდებოდა ძალის მომატებას, სილამაზესა და ჯანმრთელობას. კრაევსკის მოწაფეებმა, განსაკუთრებით, ევროპისა და მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა ესტონელმა გ. გაკენშმიდტმა ფარდა ახადა სანდოვის კულტურისტული სისტემის არარაობას. მაგრამ რუსეთის არისტოკრატიას ეს ძალზე მოსწონდა. ჟურნალები რეკლამას უკეთებდნენ მცირე სიმძიმეებით ვარჯიშის კომპლექტს, რამაც შემდგომში უარყოფითად იმოქმედა რუსული სპორტის განვითარებაზე. მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე გამარჯვებას აღწევდნენ მხოლოდ მოჭიდავეები — რუსული ათლეტიკური სპორტის მიმდევრები. შემდეგ ათლეტიზმი, როგორც ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების საშუალება, სამწუხაროდ, დიდი ხნით მივიწყებულ იქნა. რასაკვირველია, ისინი, ვინც ისწრაფვიან თავის სახეობაში მსოფლიო მწვერვალისკენ, მათ ეს თითქოს არ ჭირდებათ. მაგრამ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მილიონობით ადამიანისთვის ათლეტიკური ილეთებით მეცადინეობა აუცილებელია.

ათლეტიზმი — ეს საერთო-ფიზიკური მომზადებაა ძალოვანი განხრით. რამდენიც გინდათ აქნიეთ ხელები, ამით კუნთები ძლიერი და რელიეფური არ გახდება. თუკი ხელში აიღებ ორბირთულას ან შტანგას, მაშინვე იგრძნობ, თქვენი კუნთები რომ „გამოცოცხლდა".

აქ შეიძლება შემეკამათონ, კულტურისტებიც ხომ სიმძიმეებს ეტანებიანო. მართალია, მაგრამ ისინი მხოლოდ-დამხოლოდ კუნთებს ავითარებენ. მათ მეცადინეობას სხვა მეთოდიკა აქვთ, მაგალითად, კულტურისტი სიმძიმეებით ყველა ვარჯიშს ნელ ტემპში, მოდუნებულად და სტატიურად ასრულებს, რაც დაკავშირებულია სუნთქვის ხანგრძლივ შეჩერებასთან და მუდმივ დაჭიმულობასთან. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ათლეტიზმში სიმძიმეებთან „ჭიდილი" სულ სხვა ხასიათისაა: ნელ ვარჯიშს ცვლის სწრაფი, დინამიური მოძრაობები. რასაკვირველია, როგორც კულტურიზმში ხდება, ათლეტიზმი არ „ტუმბავს" კუნთებს, პირიქით, ეს კუნთები მისი მფლობელისთვის ზედმეტი ტვირთი კი არა, ერთგული მეგობარია ყველა ძნელ საქმეში.

ალბათ იკითხავთ: თუკი ათლეტიზმი ასეთი კარგია, განავითარეთ იგი.

სწორია! მაგრამ, სამწუხაროდ, ათლეტიზმის პროპაგანდით არავინაა დაინტერესებული, თვით ძალოსნობის საკავშირო ფედერაციაც კი. ეჭვი არ მეპარება, ფედერაციას რომ თავის დროზე მფარველობა გაეწია ათლეტიზმისთვის, მისი განვითარება კულტურიზმის გზით არ წავიდოდა.

რომელი ახალგაზრდა არ ოცნებობს ძალასა და ჯანმრთელობაზე! ასეთებს ვერც კი დათვლი. რა ვურჩიოთ მათ? უკეთეს შემთხვევაში ძალოსნობა. მაგრამ ყველას ხომ არ უნდა ძალოსანი გამოვიდეს.

დროა ძალოსნობის საკავშირო ფედერაციამ მიხედოს ათლეტიზმის მოყვარულებს. ახალგაზრდობა ხელში იღებს ორბირთულებს, შტანგას, რომ თავისი შრომით ძლიერი და ჯანმრთელი გახდეს. დროა და აუცილებელი, მივცეთ მათ საჭირო მეთოდური რჩევა-დარიგება.

**დ. ივანოვი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# საპრიზო ადგილების მიღმა

საქართველოს მძლეოსნებისთვის ოქტომბერი მდიდარია შეჯიბრებებით. უკვე დამთავრდა „დინამოს", „ლოკომოტივისა" და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოების პირველობანი. გაიმართება მოსწავლეთა საქალაქო და რესპუბლიკური ჩემპიონატები, 24-25 ოქტომბერს თბილისში ჩატარდება მატჩი უზბეკეთის მძლეოსნებთან, რომელშიც ბალტიისპირელთა გამოსვლაცაა მოსალოდნელი, თვის დამლევსა და ნოემბრის დასაწყისში კი მოეწყობა ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონატი. როგორც ხედავთ, საშემოდგომო სტარტები საქართველოს ათლეტებს ყველა საშუალებას აძლევს ამ სეზონში უკანასკნელად მიიტანონ იერიში პირად და რესპუბლიკურ რეკორდებზე, აიმაღლონ თანრიგი.

დინამოელთა პირველობა ბათუმში ჩატარდა (პარალელურად მიმდინარეობდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ჩემპიონატიც). მასპინძლებს ასპარეზობის ორგანიზებულობაში ვერ დავემდურებით. სპორტსმენებს მათ ყველა პირობა შეუქმნეს სტადიონზე, მაგრამ, სამწუხაროდ, აჭარის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ვერ შეძლო ტურნირის მსაჯების საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფა. ამის მიუხედავად, შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. კალინინმა შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა და არც შედეგები იყო ურიგო.



კვლავ კარგად გამოვიდნენ სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის პრიზიორები კ. გორძემაშვილი და გ. გუდაშვილი. გორძემაშვილმა (თბილისი) შუბი 78 მეტრზე ტყორცნა, რაც საგრძნობლად აღემატება სპორტის ოსტატის ნორმას. სამწუხაროდ, ამ სახეობაში II პრიზიორი სპორტის ოსტატი ლ. მაგოვი (აჭარა) მხოლოდ III თანრიგის შედეგს დასჯერდა — 64,72. სპორტის ოსტატის ნორმას ბევრად გადააჭარბა გ. გუდაშვილმაც, რომლის ბადრო 56,55 მეტრზე დაეცა. მას არც ლ. ტულუში (ტრივენი — თბილისი) ჩამორჩა. ქალთა ბადროს ტყორცნაში მისი შედეგია 51,20 მეტრი. ტულუშმა მეორე გამარჯვება ბირთვის კვრაში მოიპოვა — 13,06 მ. ეს კი 6 სანტიმეტრით აჭარბებს I თანრიგის ნორმას.

კიდევ ერთი სპორტსმენი უნდა გამოვყოთ. ეს არის აფხაზეთის გუნდის წევრი ს. პოლი, რომელმაც ქალთა შუბის ტყორცნაში 44,42 მეტრი აჩვენა, I თანრიგის ნორმასაც გადაამეტა და გოგონათა რესპუბლიკურ რეკორდსაც, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. გ. იმნაძემ (აჭარა) I თანრიგი აჩვენა 3000 მ წინაღობებით რბენაში — 9.25,2.

ტურნირის პრიზიორთა შედეგები დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ სხვა მაჩვენებლებს, განსაკუთრებით, ბოლო ადგილებზე გამოსულთა შედეგებს, ისინი III თანრიგს არ ცილდებიან, ზოგჯერ კი ამასაც ვერ წვდებიან. შეიძლება სპორტსმენთა მაჩვენებლების საშუალო დონე უკეთესი ყოფილიყო, რომ ტურნირში მარტო თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის კოლექტივები კი არა, ქუთაისისა და რუსთავის ათლეტებიც გამოსულიყვნენ. გაკვირვებას იწვევს თანაგუნდელთა ჩემპიონატში საქართველოს რეკორდსმენის, ქუთაისელი სპორტის ოსტატის ი. კოზელსკის გამოუსვლელობა. ტურნირმა ისიც დაგვანახვა, რომ ჯერ კიდევ მცირეა მძლეოსნობაში მომეცადინე ქალთა რიცხვი, რის გამო ბათუმის სტარტზე ხშირად 1-3 ათლეტი გამოდიოდა (100, 300 მეტრზე რბენა, შუბის ტყორცნა, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა, ბადროს ტყორცნა, 80 მ თარჯრბენი). 110 და 200 მეტრზე თარჯრბენში კი შესაბამისად 2 და 3 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ტურნირის შემდეგ შეირჩა ნაკრები, რომელიც საქართველოს პირველობაში გამარჯვებისათვის იბრძოლებს.

**მ. ტულუში,**
სპორტის ოსტატი.

აი, გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები: ქალები. 100 და 200 მეტრზე რბენა — ლ. შაბანოვა (აფხაზეთი) — 12,7 და 25,9; 400 მეტრი— ლ. პობოკა (თბილისი) — 1.01,2; 80 მეტრზე თარჯრბენი — ს. პონომარიოვა (აჭარა) — 11,9; ესტაფეტა 4×100 მ — აფხაზეთი — 53,0; სიგრძეზე ხტომა — ს. პონომარიოვა — 524; სიმაღლეზე ხტომა — ლ. ილიუშინა (აფხაზეთი) — 150. ვაჟები. 100, 200 და 400 მეტრზე რბენა — ა. ანტონოვი (თბილისი) — 10,8; 22,5 და 52,4; 800 და 1500 მეტრი — ვ. შულგინი (თბილისი) — 1.59,0 და 4.05,2; 5.000 და 10.000 მეტრი — გ. ვირჩენკო (თბილისი) — 16 წუთი და 32.59,2; ესტაფეტა 4×100 მეტრზე — თბილისი 44,0; 110 და 200 მეტრზე თარჯრბენი — ვ. ლაჩაავა (თბილისი) — 15,7 და 25,7; 400 მეტრზე თარჯრბენი — ბ. კიუტი (აფხაზეთი) — 59,3; სიმაღლეზე ხტომა — ო. ბარჯანჯია (აფხაზეთი) — 185 სმ; სიგრძეზე ხტომა და სამხტომი — გ. ლეკვეიშვილი (თბილისი) — 6,59 და 13,79; ჭოკით ხტომა — ა. ვიბლიანი (თბილისი) — 390; ბირთვის კვრა — ნ. მგელაძე (თბილისი) — 12,45; ჭრონს ტყორცნა — ჯ. ნარიმანიძე (თბილისი) — 45,16. გუნდური: 1. თბილისი — 22.032 ქულა, 2. აფხაზეთი — 15.534, 3 აჭარა — 15.149.

• • •

სურათზე: ლ. ტულუში ასპარეზობის დროს.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

# ვეტერანი კვლავ სარბიელზეა

ონში დამთავრდა საქართველოს ხალხთა IV სპარტაკიადის ზონალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო დასავლეთის ზონის 15-მა რაიონმა. ადგილობრივი სპორტისმოყვარულები სამი დღის მანძილზე შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ათლეტთა ორთაბრძოლებს.

როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში წარმატებით გამოვიდნენ ონელი მოჭიდავეები. სპარტაკიადის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მ. ხოშტარია (აბაშა), ა. მაისურაძე, ფ. ბერუჩევი, ვ. გაგნიძე (სამივენი — ონიდან), ტ. ჭარხალაძე (ზუგდიდი), დ. აბჟანდაძე (ზესტაფონი), შ. გობეჯიშვილი (ონი), შ. გოგნაძე (ორჯონიკიძე).

ქების ღირსია თავისუფალი ჭიდაობის ვეტერანი, ონში ჭიდაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ა. მაისურაძე, რომელმაც კარგი მაგალითი უჩვენა თანაგუნდელებს, აღმავლობით ჩაატარა ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავა.

**თ. ფილიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

# ოლიმპიური კვირეულის წინა დღე

მეხიკოში დაიწყო დიდი ოლიმპიადის რეპეტიცია — ოლიმპიური სპორტული კვირეული, რომელშიც 23 ქვეყნის 500-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს. მექსიკის დედაქალაქი ამ დღეებში სპორტულ-მეცნიერულ კომპლექსურ ბაზას წააგავს. ტანმოვარჯიშეები, ველოსიპედისტები, მოჭიდავეები, მოკრივეები... ერთ მხარეს და ჟურნალისტები, სტატისტიკოსები, ექიმები, მეცნიერული ლაბორატორიები და უახლესი ტექნიკური აპარატურა, მეორე მხარეს. ყველას თავისი საზრუნავი აქვს. ყველა თავისი კონკრეტული საქმიანობითაა დაკავებული.

საერთო ყურადღების ცენტრშია მხოლოდ ერთი პრობლემა: რა გავლენას ახდენს სპორტსმენთა ორგანიზმზე სიმაღლე. მეცნიერებს ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრება აქვთ (ხშირად ერთმანეთისაგან დიამეტრალურად საწინააღმდეგო), სპორტსმენებს — თავისი. ოლიმპიურმა კვირეულმა აზრთა სხვადასხვაობა ერთ მთლიან და დასაბუთებულ კონცეფციად უნდა ჩამოაყალიბოს.

სსრ კავშირის დელეგაცია პროგრამის 8 სახეობაში მიიღებს მონაწილეობას. ოლიმპიური კვირეული სპორტული თვალსაზრისითაც საინტერესო ღონისძიება იქნება. ჯერ მარტო რად ღირს ის ფაქტი, რომ მეხიკოში განახლდება ვ. ჩასლავსკასა და ნ. კუჩინსკაიას შორის ამას წინათ შეწყვეტილი დავა. მოსალოდნელია კიდევ ბევრი სხვა საინტერესო სპორტული დუელი.

# ინტერვიუ ვ. მასლოვთან

ამას წინათ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დ. ლოლაძე შეხვდა კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელს ვ. მასლოვს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

„ლელო“ ინტერვიუ

● რით აიხსნება კიევის „დინამოს“ წარმატება მიმდინარე სეზონში?

— ამბობენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ისე კი, გეტყვით, რომ დიდ მარათონში მთავარი ადგილი ძალების თანაბარ განაწილებას უნდა დაეთმოს. პირადად მე წარმატების ფაქტორად ის ჯანსაღი ურთიერთობა მიმაჩნია, რომელიც ჩვენი კოლექტივის წევრებს შორის არსებობს. ასეთ გუნდში მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა.

● რას იტყვით კიევის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე?

— ჩემთვის ცნობილი იყო, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გუნდს დიდი ხნით გამოაკლდებოდა. ამიტომ ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ძირითადი ყურადღება ახალგაზრდებზე გადავიტანეთ, რომლებიც, როგორც ხედავთ, კარგად შეეწყვნენ ანსამბლს.

● რას იტყვით 4+4+2 სისტემაზე? იგი ხომ თქვენმა გუნდმა გამოიყენა პირველად?

— არსებობს მხოლოდ ერთი სისტემა 4+2+4, რომელსაც ყოველი გუნდი მისთვის საჭირო სქემად გარდაქმნის. ბრაზილიურ სისტემას ვარირების დიდი შესაძლებლობა აქვს, ეს არის და ეს.

● კიევის „დინამო“ თუ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და თასიც მოიპოვა, რომელ ევროპულ ტურნირში ამჯობინებთ მონაწილეობას?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ რა თქმა უნდა, ვამჯობინებთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს.

● ვინ მიგაჩნიათ ყველაზე გამოჩენილ მწვრთნელად მსოფლიოში?

— საერთოდ, ჩვენში საზღვარგარეთის მწვრთნელები დიდი სახელით სარგებლობენ, მაგრამ მათი გუნდების თამაშში მე არაფერი განსაკუთრებული არ შემინიშნავს. გულახდილად გეტყვით, რომ ჩემს კოლეგებს საზღვარგარეთელ მწვრთნელებს არც შევადარებ.

● როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე მსოფლიო ჩემპიონატმა?

— ლონდონში იყვნენ გუნდები, რომლებმაც ნამდვილი კლასიკური ფეხბურთი აჩვენეს. ასეთთა რიცხვს მივაკუთვნებ: გფრ-ს, ინგლისს, პორტუგალიას, არგენტინას, უნგრეთს, ურუგვაის. იყვნენ, რა თქმა უნდა, საშუალო კლასის გუნდებიც (ბულგარეთი, კორეა, იტალია, საფრანგეთი). არგენტინელებმა და ურუგვაიელებმა ბევრი დაკარგეს იმით, რომ მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანეს.

● თქვენის აზრით, რაში მდგომარეობდა ფეოლასა და ფაბრის შეცდომა?

— ერთმაც და მეორემაც ლონდონში სუსტად მომზადებული გუნდები ჩამოიყვანეს. ასეთი რამ მსოფლიო ჩემპიონატზე დაუშვებელი, გამოუსწორებელი შეცდომაა.

● რომელი მატჩი მოგეწონათ ინგლისში ყველაზე მეტად?

— ვინაიდან მეტწილად თვალს ვადევნებდი III ქვეჯგუფის თამაშებს, დაგისახელებთ ორ მატჩს: უნგრეთ — ბრაზილიისა და პორტუგალია — ბრაზილიის შეხვედრას. კორექტულობითა და სილამაზით გამოირჩეოდა ინგლის — პორტუგალიის ნახევარფინალური მატჩი. ამ შეხვედრაში გამართლა პორტუგალიის მიერ არჩეულმა დაცვითმა სისტემამ. ვფიქრობ, ეს პორტუგალიელთა მწვრთნელის მთავარი შეცდომა იყო.

● ვინ მიგაჩნიათ მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ, მცველად, ნახევარმცველად და თავდამსხმელად?

— იაშინი, კაპოსტა, კოლუნა და ეუსებიო.

● ინგლისში წარმატებას ევროპულმა ფეხბურთმა მიაღწია. როგორ ფიქრობთ, გამეორდება თუ არა იგი მექსიკაშიც?

— არავითარ შემთხვევაში.

● ვინ არის თქვენის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?

— ჯერ პელე, შემდეგ ეუსებიო.



მწვერვალთა დამპყრობნი.

ფოტოეტიუდი ლ. ღლონტისა.

# ოთხის ნაცვლად — ექვსი

როგორც ვიტყობინებოდით, რეგბისტთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ 4 ქვეჯგუფში გამარჯვებული კოლექტივები. სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ გადასინჯა დებულება და მასში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა. კერძოდ, ფინალში, რომელიც 28 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიხსნება, გამოვა არა 4, არამედ 6 გუნდი. ესენი იქნებიან თბილისის „ლოკომოტივი“ და „დინამო“, მოსკოვის (2), უკრაინისა და ლენინგრადის ქვეჯგუფებში გამარჯვებული კოლექტივები. თამაშები ჩატარდება 1 წრედ.

# სპარტაკიადის ფინიშთან

დასასრულს უახლოვდება „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს II სპარტაკიადა. უკვე დამთავრდა შეხვედრები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში.

ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: კლასიკურში — ა. ტალიევმა (აზერბაიჯანი), ზ. მირიანაშვილმა (თბილისი), ე. იბრაჰიმოვმა (აზერბაიჯანი), გ. ფილიშვილმა, ჯ. სიმონიშვილმა, გ. გელაშვილმა (ყველანი — თბილისი), ჩ. ჰუსეინოვმა (აზერბაიჯანი) და ე. ღუდუშაურმა (თბილისი); თავისუფალ ჭიდაობაში — პ. გამიდოვმა (აზერბაიჯანი), ა. დათეშიძემ (სამტრედია), ი. ლეონოვმა, ტ. როსტიაშვილმა (ორივენი — თბილისი), გ. არუთინოვმა, ვ. არუთინოვმა (ორივენი — აზერბაიჯანი), ე. ერგემლიძემ (სამტრედია) და გ. ტიფექჩიანმა (ერევანი).

კალათბურთელ ქალთა ტურნირის ბოლო შეხვედრებში თბილისის გუნდმა მოუგო აზერბაიჯანს — 43:32 და სამტრედიას — 51:45 და ჩემპიონი გახდა. თბილისელმა ვაჟებმა დაამარცხეს სამტრედიისა (87:40) და ერევნის გუნდები (88:59). სამტრედიელებმა მოუგეს აზერბაიჯანის კოლექტივს — 46:37, ხოლო აზერბაიჯანელებმა — ერევნელებს — 68:33. თბილისის ვაჟთა გუნდი, რომელმაც ტურნირში გაიმარჯვა, მთლიანად „მეტრომშენის“ სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. II ადგილზე გავიდა სამტრედიის კოლექტივი.

ველოსიპედისტთა ასპარეზობა ნატახტარის გზატკეცილზე ჩატარდა. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. აზერბაიჯანი, 2. თბილისი, 3. სამტრედია. პირადში ჩემპიონები გახდნენ აზერბაიჯანის რაისაბჭოს ათლეტები: ქალებში — ტ. სუხარევა — 15 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლასა (25.44,0) და 20 კილომეტრზე ჯგუფურ ტურნირში (34.43,0). ვაჟებში 25 კილომეტრზე ინდივიდუალური და 50 კილომეტრზე ჯგუფური რბოლები მოიგო ვ. აირაპეტოვმა — 38.02,0 და 1:20.52 შესაბამისად.

თბილისელ მძლეოსანთა უპირატესობა სპარტაკიადაში აშკარა იყო. მათ თითქმის 2 ათასი ქულით მოუგეს II პრიზიორს — აზერბაიჯანის რაისაბჭოს ნაკრებს. პირადში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისელმა ა. კორნეიჩუკმა, ი. ზეინან-ოღლიმ, ვ. ქუთათელაძემ, ტ. ბახტაძემ, ა. ანდრეევმა, რ. სერებრიანიმ, ი. ზოლინმა (აზერბაიჯანი), რომლებმაც შეასრულეს ოსტატობის კანდიდატის ან I თანრიგის ნორმა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გაგვახარა რესპუბლიკის რეკორდსმენმა ხუთჭიდში ლ. იევლევამაც. 80 მ თარჯრბენში იგი კონკურსგარეშე ცდიდა ძალებს და I თანრიგის შედეგიც (11,5) აჩვენა.

**აი ჩემპიონები: ქალები. 200 მეტრზე რბენა — ვ. ქუთათელაძე — 25,4; 400 და 800 მეტრი — რ. შჩიკოვსკაია (ორივენი — თბილისი) — 1.03,1 და 2.24,6; 80 მ თარჯრბენი — ვ. შიროკოდარი (აზერბაიჯანი) — 12,7; სიგრძეზე ხტომა — გ. კისელი (თბილისი) — 460; სიმაღლეზე ხტომა — ტ. ორლოვა (სამტრედია) — 135; ბადროს ტყორცნა — ი. მხეიძე (თბილისი) — 42,72; ბირთვის კვრა — ს. ბოლოტაიტე (აზერბაიჯანი) — 12 მ; ესტაფეტა 4×100 მ — თბილისი — 54,2. ვაჟები. 200 მეტრზე რბენა — ტ. ბახტაძე — 22,0; 800 და 1500 მეტრი — ა. კორნეიჩუკი (ორივენი — თბილისი) — 1.55,2 და 3.51,2, 5000 მეტრი — ვ. პიუნოვი (სამტრედია) — 15.47,8; სიგრძეზე ხტომა — მ. გრივა (თბილისი) — 688; სიმაღლეზე ხტომა — ნ. ბადენკო (სამტრედია) — 175; სამხტომი — ი. ზოლინი (აზერბაიჯანი) — 14,32; ბირთვის კვრა და ბადროს ტყორცნა — ო. გოშაძე (თბილისი) — 14,50 და 39,70; ურო — ო. ართილაყვა (თბილისი) — 52,93; ესტაფეტა 4×100 მ — აზერბაიჯანი — 45,0.**

გამოვლინდნენ ჩემპიონები მაგიდის ჩოგბურთელთა პირად პირველობაში. ქალებში ყველას აჯობა ი. მაქსაკოვამ (აზერბაიჯანი), ვაჟებში — მისმა თანაგუნდელმა მ. საფაროვმა.

სპარტაკიადა დღეს დამთავრდება.

ო. ივდოშვილი,
თ. ჰილაძე.

# ახალი ამბები

● ბუდაპეშტი, 11 ოქტომბერი. დაკომპლექტდა უნგრელ ძალოსანთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობაზე ძალოსნობაში. ესენი არიან: მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ი. ფიოლდი (მჩატე წონა), ი. ბენედეკი (მსუბუქი), ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი დ. ვერეში (საშუალო), ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი საშუალო წონაში გ. ტოტი (ქვემძიმე წონა), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კ. ეჩერი (მძიმე წონა). ფიოლდისთან ერთად მჩატე წონაში გამოვა რ. ნადი. გუნდში მეშვიდე ადგილისთვის დავა ექნებათ ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის V ადგილის მქონეს ი. ბაგოჩს (მსუბუქი), კ. ბაკოშს (ქვემსუბუქი) და ტოკიოს ოლიმპიადის მეექვსე პრიზიორს ა. ნემეშანის (ქვემძიმე).

# საპატიო ლეგიონის ორდენის კავალრები

**მათ სახელებს კარგად იცნობენ საფრანგეთში. ისინი განუსაზღვრელი პოპულარობით სარგებლობენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც უყვართ და აფასებენ სპორტს.**

**ჟაკ ანკეტილი** ველოსპორტის ისტორიაში ლეგენდარული ფიგურაა. მან ხუთჯერ მოიპოვა „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონის წოდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟაკ ანკეტილს ტოლი არ ჰყავს არა მარტო მოყვარულებში, არამედ პროფესიონალებშიც.

**ალენ კალმა** მსოფლიოს 1965 წლის ჩემპიონია ციგურებით ფიგურულ სრიალში. სანამ მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, იგი იყო მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონი და ევროპის № 1 ფიგურისტი. ა. კალმამ აისრულა რა გულის წადილი, სპორტს დაანება თავი.

**ჟი პერია** საფრანგეთის სამთო-მოთხილამურეთა იმ სახელოვან პლეადას მეთაურობს, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ერთ დროს უძლეველი ავსტრიული სკოლა. გ. პერია მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონია.

**ჟოსელინ დელეკური** „სპორტის დედოფლის“ მსახურია. ამ ნიჭიერი სპრინტერის სახელს უკვე კარგა ხანია, რაც მსოფლიოს უძლიერეს მძლეოსანთა შორის ვხვდებით. ამიტომაც ანდეს მას საფრანგეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის კაპიტნობა.

**მიშელ კროსტი** ჩვენში ნაკლებად გავრცელებული სპორტის სახეობის — რეგბის წარმომადგენელია. მაგრამ იგი საფრანგეთში პოპულარობის მხრივ ყველა სახელმოხვეჭილ სპორტსმენს შეეჯიბრება.

**და აი, ამ დღეებში, საფრანგეთის მთავრობამ ზემოჩამოთვლილი სპორტსმენები დააჯილდოვა საპატიო ლეგიონის ორდენებით. ღირსეულ სპორტსმენებს ღირსეულად დაუფასდათ შრომა და ამაგი.**

ფეხბურთი

## „ევერტონი“ მერვედფინალში

გასულ სამშაბათს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის „ევერტონი“ და დანიის „აალბორგი“ (პირველი შეხვედრა — 0:0). გაიმარჯვეს ინგლისელებმა, რომლებმაც მერვედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

(საქ. ინფ.).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06084